KA030122434994819

№ 01-10619 **11 / ოქტომბერი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

მინისტრის მოადგილის
ზაზა ბოხუას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ საქართველოში „გადაუდებელი მედიცინის“ დარგის განვითარებისა და შესაბამისი სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების რაოდენობიდან გამომდინარე, „გადაუდებელი მედიცინა“ 2014 წელს დამოუკიდებელ საექიმო სპეციალობად განისაზღვრა (ბრძანება №01-7/ნ - 07.02.2019), 2007-2014 წლებში კი გარკვეული საექიმო სპეციალობების სუბსპეციალობას წარმოადგენდა. ამასთან, გარდამავალი ეტაპის დარეგულირების მიზნით, ზემოხსენებული ბრძანების დანართი № 3-ის მე-12 პუნქტის თანახმად, ექიმებს, რომელთაც ამ ბრძანების ამოქმედებამდე მინიჭებული ჰქონდათ სახელმწიფო სერტიფიკატები საექიმო სპეციალობებში - „ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია“ და „კრიტიკული მედიცინა“ და გააჩნდათ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (EMERGENCY) მიმართულებით არანაკლებ 1 წლის სამუშაო სტაჟი, მიეცათ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელების უფლება (სახელმწიფო სერტიფიკატი) საექიმო სპეციალობაში - „გადაუდებელი მედიცინა“.

მიუხედავად გარდამავალი ეტაპის დარეგულირებისა, ქვეყანაში „გადაუდებელი მედიცინის“ სპეციალისტებზე მოთხოვნა განუხრელად იზრდებოდა, რაც განპირობებული იყო შესაბამისი სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების რიცხვის ზრდით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2016 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განმსაზღვრელი დოკუმენტის (№ 01-9/ნ) თანახმად, გადაუდებელი მედიცინის ერთეულში მუშაობის უფლება, „გადაუდებელი მედიცინის“/„ბავშვთა გადაუდებელი მედიცინის“ სპეციალისტების გარდა, 2020 წლამდე, ასევე, მიეცათ სხვა ექიმ-სპეციალისტებს (კომპეტენციის შესაბამისად), ხოლო „გადაუდებელ მედიცინაში“ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტებს, ამავე ვადით, მიეცათ საშუალება, სამედიცინო მომსახურება გაეწიათ ბავშვთა ასაკის კონტინგენტისათვის.

მოგახსენებათ, რომ ამ ეტაპზე „გადაუდებელი მედიცინის“ სანებართვო დანართს ფლობს 127 სამედიცინო დაწესებულება. რაც შეეხება ექიმ-სპეციალისტებს, „გადაუდებელ მედიცინაში“ სერტიფიცირებულია 313 ექიმი, „ბავშვთა გადაუდებელ მედიცინაში“ კი 89 ექიმი. ამ სპეციალისტების ძირითადი რაოდენობა თბილისშია თავმოყრილი (კერძოდ, „გადაუდებელი მედიცინის“ 148 სპეციალისტი, ხოლო „ბავშვთა გადაუდებელი მედიცინის“ 56 სპეციალისტი. სპეციალისტების გადანაწილების შესახებ დეტალური ინფორმაცია თან ახლავს მოხსენებით ბარათს). ამავდროულად, მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში (მ.შ., მაღალმთიანი მუნიციპალიტეტები) არსებულ სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც ფლობენ სანებართვო დანართს - „გადაუდებელი მედიცინა“, გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტი არ ყავთ (მაგალითად, ამბროლაური, მესტია, ცაგერი).

ზემოხსენებული პრობლემიდან გამომდინარე, სამინისტროში შემოსულია რამდენიმე კორესპონდენცია, რომლებშიც მათი ადრესატები ითხოვენ „გადაუდებელ მედიცინაში“/„ბავშვთა გადაუდებელ მედიცინაში“ მუშაობის უფლება სხვა სპეციალობაში სერტიფიცირებულ ექიმებს გადაუვადდეთ გონივრული ვადით.

აღნიშნულ საკითხზე, ასევე, მოგვმართა, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორმა, ბატონმა ნუგზარ ბოლქვაძემ, რომელიც ითხოვს რეგიონული ჯანდაცვის ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგებს გადაუდებელ მედიცინაში სახელმწიფო სერტიფიკატი მიენიჭოთ გამარტივებული წესით (ანუ იმავე მექანიზმით, როგორც მოხდა სერტიფიკატების მინიჭება გარდამავალ ეტაპზე - 2014 წელს ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგებისა და კრიტიკული მედიცინის სპეციალისტებისათვის). გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხსენებულ ქსელში ამ ეტაპზე დასაქმებულია 14 გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტი, ხოლო 2020 წლიდან მათ ესაჭიროებათ დამატებით 51 სპეციალისტი.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ამჟამად გადაუდებელი მედიცინის გადამზადების პროგრამებს (ხანგრძლივობა 8 თვე) ახორციელებს სამი დაწესებულება, ხოლო მათთვის აკრედიტაციით მინიჭებული ადგილების/კვოტების რაოდენობა არის 89 (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - 53, მიქაელის კლინიკა - 12, ევექსი - 24), ბავშვთა გადაუდებელ მედიცინაში (ხანგრძლივობა 6 თვე) კი აკრედიტაცია მინიჭებული აქვს მხოლოდ ევექსს (20 ადგილი). სარეზიდენტო პროგრამების ხანგრძლივობა

„გადაუდებელ მედიცინაში“/„ბავშვთა გადაუდებელ მედიცინაში“ არის 3 წელი, ხოლო მინიჭებული კვოტების რაოდენობა, შესაბამისად - 47 და 21.

ზემოაღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია, განხილული იქნეს სხვა შესაბამის სპეციალობაში სერტიფიცირებული ექიმებისათვის გადაუდებელი მედიცინის/ბავშვთა გადაუდებელი მედიცინის ერთეულში მუშაობის, ასევე, გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტებისათვის ბავშვთა კონტინგენტის მომსახურების 2021 წლის 1 იანვრამდე გადავადების საკითხი.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნულის შესახებ.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

ზაზა ბოხუა